ПРОЛЕТАРЕБО, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. ᲞᲘ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲝᲕᲭᲝᲗᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 30-Ე ᲬᲔᲚᲘ

ᲥᲕᲘᲠᲐ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1949 �წ. № 225 (8528). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ — „პრავდის“ 12-XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. ᲞᲘ. (Ბ) ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ (მე-2 გვერდი).

Ს. ᲑᲔᲠᲘᲫᲔ — ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲯᲐᲜᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ (მე-2 გვერდი).

ᲛᲔᲒᲝᲗᲐᲫᲐᲣᲨᲕᲔᲑᲘ ᲩᲐᲠᲝᲣᲚᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲡ (მე-2 გვერდი).

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚ ᲓᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚ ᲛᲔᲗᲕᲔᲜᲐᲣᲩᲣᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ (მე-4 გვერდი).

ᲞᲐ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ—ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ (მე-3 გვერდი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ — დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲡ ᲐᲭᲪᲔᲕᲡ „ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲓ, ᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ, ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲒᲧᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐᲐ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ, ᲚᲔᲜᲘᲜᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲪᲘᲔᲡ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ“.

ᲛᲔᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲗᲐᲡᲗᲕᲘᲡ. ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ. ᲘᲒᲘ ᲔᲣᲬᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲒᲘ ᲔᲣᲬᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 30-Ე ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 32-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲕᲗᲣᲗᲕᲚᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐᲡ), ᲒᲐᲫᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲡ, ᲡᲐᲣᲙᲣᲠᲐᲕᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲠᲧᲐᲜᲓᲘᲡ ᲝᲚᲭᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲠᲐᲘᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲣᲑᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲠᲧᲐᲜᲓᲘᲡ ᲝᲚᲭᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲘᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲣᲑᲘᲚᲐᲕᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲒᲐᲠᲗᲝᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲞᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘ, ᲐᲛᲐᲚᲚᲓᲐ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ, ᲒᲐᲛᲓᲘᲠᲓᲐ ᲛᲘᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲒᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ, ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲘᲗᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ, ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲒᲘ ᲔᲣᲬᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲠᲒᲐᲜᲝ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 30-Ე ᲬᲔᲚᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲡᲣᲜ ᲪᲘᲜ-ᲚᲘᲜᲘᲡ (Ქ-Ნ ᲡᲣᲜ ᲘᲐᲗ-ᲡᲔᲜᲘᲡ) ᲓᲔᲙᲔᲨᲐ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲒᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲛᲗᲔᲚ ᲒᲐᲮᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲘᲡᲘᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲣᲜ ᲘᲐᲗ-ᲡᲔᲜᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛ ᲐᲖᲠᲘᲡᲐ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲚᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ. ᲡᲣᲜ ᲘᲐᲗ-ᲡᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲘ ᲛᲘᲮᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲗᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲙᲐᲤᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ, ᲛᲫᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲣᲜ ᲪᲘᲜ-ᲚᲘᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 32-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲮᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐᲡ ᲒᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲛᲗᲔᲚ ᲒᲐᲮᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲘᲡᲘᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲣᲜ ᲘᲐᲗ-ᲡᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲘ ᲛᲘᲮᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲗᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲙᲐᲤᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ, ᲛᲫᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲣᲜ ᲪᲘᲜ-ᲚᲘᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲫᲘᲠ ᲡᲐᲚᲐᲛᲡ ᲒᲘᲛᲫᲦᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 32-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲓᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ შემდეგ ᲮᲣᲗ ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛ ᲐᲖᲠᲘᲡᲐ ᲕᲐᲠᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲗᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲙᲐᲤᲣᲚᲘ ᲒᲖᲘᲗ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ, ᲛᲫᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲡᲣᲜ ᲪᲘᲜ-ᲚᲘᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲣ

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სტალინირი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე — სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. იმნაძემ.

— სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი,—ამბობს მომხსენებელი — სოფლის მეურნეობაა. მიმდინარე წელს ოლქის ზოგიერთ რაიონში მიღებულია თავთავიანი კულტურების შედარებით მცირე მოსავალი. არ სრულდება შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა. ამ საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ლენინგორისა და ზნაურის რაიონები. ლენინგორის რაიონმა შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა 50 პროცენტით შეასრულა, ზნაურისამ — 70 პროცენტით. არასაბარბიელო მდგომარეობაა მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულების მხრივაც. გარდა ღორისა, ცხვრისა და თხისა, მეცხოველეობის განვითარების გეგმები არ სრულდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან ზნაურისა და ჯავის რაიონები.

საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1949 წელს ყველა კოლმეურნეობაში 4 ფერმის შექმნას. მაგრამ ოლქის 358 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 225 კოლმეურნეობას აქვს ოთხ-ოთხი ფერმა. ამ საქმეში განსაკუთრებით ცუდი მაჩვენებლები აქვს სტალინირის რაიონს.

რით უნდა ავხსნათ ეს ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის დარგში? ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების და პარტიის რაიონული კომიტეტების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაში, რომლებიც ჯერ კიდევ ცუდად აწყობენ შინაპარტიულ მუშაობას, ცუდად ხელმძღვანელობენ ადგილობრივ საბჭოთა, სოფლის მეურნეობის ორგანოებს და კოლმეურნეობებს.

ბევრ კოლმეურნეობაში, პარტიული ორგანიზაციების ცუდი მუშაობის შედეგად სუსტია შრომის დისციპლინა. ეს განსაკუთრებით შეეხება სტალინირისა და ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებს. სტალინირის რაიონის სოფელ ტბეთის კოლმეურნეობის სარწყავ ნაკვეთებში თავთავიანი კულტურების მხოლოდ იმდენი მოსავალია მიღებული, რამდენიც ურწყავ ნაკვეთებში. კოლმეურნეობამ სარწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 73 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. მსგავსი მდგომარეობაა ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული მუშაობა იმდენად ჩაშლილია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში სერიოზულად არც კი განუხილავთ ცალკეული კომუნისტების მიერ შრომისა და პარტიული დისციპლინის დარღვევის ფაქტები. აქ არც ერთ კომუნისტს არა აქვს პარტიული დავალება, ბრიგადებში გამოყოფილი არ არიან აგიტატორები, არ გამოდის კედლის გაზეთი, ჩაშლილია კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს სოფელ ავლევის საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების მუშაობას. ცუდად მუშაობენ სოფელ ველების, სოფელ ქსუისის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციები.

შემდეგ ამხ. ა. იმნაძემ გააკრიტიკა პარტიის სტალინირის რაიკომის მუშაობის სტილი, აღნიშნა, რომ რაიკომი ვერ უზრუნველყოფს ყველა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. რაიკომის მუშაკები ნაკლებად არიან დაკავშირებული პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან. რაიკომის მუშაობაში უგულებელყოფილია მიღებული გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება.

მსგავსი ნაკლოვანებებია პარტიის ზნაურის რაიკომის მუშობაშიც. მთელ რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებები იშვიათად და მოუმზადებლად ეწყობა. პარტიული კრებების გადაწყვეტილებანი ხშირად მექანიკურად არის გადმოწერილი რაიკომის გადაწყვეტილებებიდან.

ნაკლოვანებანია პარტიის ჯავის რაიკომის მუშაობაშიც. რაიკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანეს უბანს — მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ბოლოს მომხსენებელი შეჩერდა პარტიული განათლებისა და კადრებთან მუშაობის საკითხებზე.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ივანიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიაში ახლად მიღებულებთან. ამით აიხსნება, რომ სტალინირის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის წევრობის 88 სტაჟგადაცილებული კანდიდატია. ამ მხრივ სუსტად მუშაობს კაჯაევის სახელობის ხე-ტყის კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. შემდეგ ამხ. ივანიძემ გააკრიტიკა აგურის ქარხნის, სტალინირის რკინიგზის სადგურის, საოლქო საავტომობილო სამმართველოს პარტორგანიზაციები, რომლებიც უყურადღებოდ ეკიდებიან პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეს.

საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორმა ამხ. ა. მამისაშვილმა გააკრიტიკა პარტიის ზნაურისა და სტალინირის რაიკომები, რომლებიც არ ეხმაურებიან გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს. ამხ. ა. მამისაშვილმა თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ საოლქო გაზეთის რედაქცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს გაზეთის აქტივთან.

პარტიის ზნაურის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სანაკოევმა აღნიშნა, რომ ნულის, ოქონის და სხვა საკოლმეურნეო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია შინაპარტიული მუშაობა, კომუნისტების აღრიცხვა. რაიონში მოწოდების სიმაღლეზე არა დგას აგრეთვე ლექციური პროპაგანდა.

პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ცხოვრებოვმა აღნიშნა, რომ რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება პარტიაში ახლად მიღებულებთან მუშაობას, რის შედეგადაც რაიონში საკაეშირო კ. პ. (ბ) წევრობის 80 სტაჟგადაცილებული კანდიდატია.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის სავაჭრო-საფინანსო-საგეგმო განყოფილების გამგე ამხ. გ. ძაგოევი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ე. ჯიოევი; კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ბერუაშვილი და სხვ., სულ 13 კაცი.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

განხილული იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი. სასწავლებლად წასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. კუდუხოვი. პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ფ. ზასეევი.

სსრ კავშირის პირველობა ჭადრაკში

10 ნოემბერს გათამაშდა ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის მე-14 ტურის დაფმთავრებელი პარტიები.

ოთხი პარტიის გათამაშება 10 ნოემბერს არ განახლებულა. შემდგომი წინააღმდეგობის უიმედობის გამო მიკენასი დანებდა ბოლესლავსკის, კერესი — ტაიმანოვს, პეტროსიანი — ფურმანს და ლევენფიში — გოლდბერგს.

სმისლოვ-კოტოვის, სოკოლსკი-არონინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

14 ტურის შემდეგ კოტოვს აქვს 9,5 ქულა: ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სმისლოვი, ბოლესლავსკი, ბრონშტეინი და გელერი. კერესსა და ტაიმანოვს აქვთ 8,5 ქულა თვითეული, ფლორსა და ფურმანს 8 ქულა თვითეული, ხოლმოვს — 7,5 ქულა.

11 ნოემბერს შედგა ჭადრაკში სსრ კავშირის პირველობის მე-15 ტური:

კოტოვმა მოუგო ფლორს, სმისლოვმა — ხოლმოვს, კერესმა — რაგოზინს, არონინმა — კოპილოვს და მიკენასმა — ფურმანს.

ლილიენტალ-ტაიმანოვის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

15 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში წამყვანი მდგომარეობა უჭირავთ: კოტოვს, რომელსაც აქვს 10,5 ქულა, სმისლოვს — 10 ქულა, კერესს — 9,5 ქულა, ბოლესლავსკის, ბრონშტეინს და გელერს — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია თვითეულს, ტაიმანოვს— 9 ქულა, არონინს, ფლორსა და ფურმანს — 8 ქულა თვითეულს. (საკ. ინ.).

უკანასკნელი ფოსტა

სხვა გაზეთებმაც უნდა მიბაძონ „მგზნებარე კოლხიდელის“ მაგალითს

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანომ გაზეთმა „მგზნებარე კოლხიდელმა“ 28 ოქტომბრის ნომერში მოწინავე წერილი და მეორე გვერდზე შერჩეული მასალები მიუძღვნა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობას.

მოწინავე წერილში „მუდმივი კომისიები ძირითადი რგოლია ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში“ გაზეთი აღნიშნავს, რომ

„მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად რგოლს მუდმივი კომისიები წარმოადგენენ. ისინი მოწოდებული არიან საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბან დეპუტატები, აქტივი და მათთან ერთად განუხრელად იბრძოლონ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა განხორციელებისათვის, მშრომელთა მასების კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის“.

გაზეთი კონკრეტული მაგალითების ჩვენებით განაზოგადებს მოწინავე მუდმივი კომისიების ნაყოფიერ მუშაობას და აკრიტიკებს კომისიებს, რომლებიც სუსტად იბრძვიან ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად.

„ახლა დიდი ამოცანები აკისრიათ მუდმივ კომისიებს, — ასკვნის გაზეთი.—ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებით, თავიანთ საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით, ორგანიზატორული როლისა და ინიციატივის ამაღლებით მათ უნდა უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ყველა უბანზე მუშაობის უფრო მეტად გაუმჯობესება“.

მეორე გვერდზე გაზეთს საერთო ანშლაგის ქვეშ „უფრო ახლოს ვიდგეთ მშრომელთა ფართო აქტივთან, საქმით განვახორციელოთ ამომრჩეველთა განაწესი!“ —დაბეჭდილი აქვს მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნის ამხ. ი. თოფურიას წერილი „კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოების მუდმივი კომისიების როლი“, აგრეთვე წერილები: სახალხო განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. უჩანეიშვილისა—„მეტი წვლილი შევიტანოთ სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებაში“, საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. შ. ჯალიაშვილისა — „გავაუმჯობესებთ მუდმივი კომისიის მუშაობას“ და დეპუტატ თ. ქორქიასი — „დეპუტატი ახლოს უნდა იყოს ამომრჩევლებთან“.

„მგზნებარე კოლხიდელის“ ფურცლებზე „საბჭოთა მშენებლობის“ რუბრიკით პერიოდულად იბეჭდება წერილები და კორესპონდენციები საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე, რაც გაზეთის დადებით მუშაობად უნდა ჩაითვალოს.

„მგზნებარე კოლხიდელის“ მაგალითს სხვა გაზეთებმაც უნდა მიბაძონ.

მებათქაშეები ჩქაროსნული მეთოდით მუშაობენ

რუსთავში მომუშავე მებათქაშეებმა, რომლებიც საცხოვრებელი სახლების ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მშენებლებს კვალდაკვალ მიყვებიან, უკანასკნელ ხანებში მაღალწარმოებადი მუშაობის საუკეთესო ნიმუშები მოგვცეს. მაგალითად, საცხოვრებელი სახლების დეკორაციულად დაბათქაშებაზე ჩვეულებრივად მხოლოდ მაღალკვალიფიციური მუშა უნდა მუშაობდეს, მაგრამ ისიც დღეში 20-25 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის კედლის დეკორაციულ მობათქაშებას ვერ შეძლებს. აქ კი ნაკლებ კვალიფიციური მუშებიც დღეში 120-130 კვადრატულ მეტრს აბათქაშებენ.

ამას წინათ სახელოსნო სასწავლებლებიდან ახლახან მოსული მებათქაშეთა ბრიგადა, რომელსაც კ. შეევცოვი ხელმძღვანელობს, შეუდგა საბათქაშო სამუშაოთა შესრულებას ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით. ახალგაზრდებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს და მათი მაგალითისამებრ ახლა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით მუშაობა მასობრივად ინერგება მებათქაშეთა შორის.

საბათქაშო სამუშაოთა ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით შესრულება ასე ხდება: ბრიგადა დაყოფილია 4 ჯგუფად: პირველ ჯგუფს, რომელიც 4 კაცისაგან შედგება, დაკისრებული აქვს კედლის პირველადი შელესვა. მას მიყვება მეორე ჯგუფი (აქ უკვე ორი კაცია), რომელსაც დაკისრებული აქვს კედლის ლავგარდნების გამოყვანა ზერელედ, შეუღამაზებლად. მეორე ჯგუფს მიჰყვება მესამე ჯგუფი (აქაც ორი კაცია), რომელიც მხოლოდ კარ-ფანჯრის დახრილ ადგილებს ლესავს და კუთხეები გამოჰყავს. ბოლოს მიდის მეოთხე ჯგუფი, რომელიც წინა ჯგუფების ნამუშევარს ასწორებს, ალამაზებს. ეს ჯგუფი უფრო მრავალრიცხოვანია. იგი ახდენს წინა ჯგუფების ნამუშევართა კორექტირებას და ამთავრებს კედლის მობათქაშებას.

ასეთი სისტემის უპირატესობა ისაა, რომ ბრიგადის ყოველი წინა ჯგუფის მუშაობას კონტროლს უწევს მომდევნო ჯგუფი, ამიტომ ყველა ცდილობს არ ჩამორჩეს, რათა მომდევნო ჯგუფის მუშაობა არ შეაფერხოს.

დიდად დაჩქარა დეკორაციულ საბათქაშო სამუშაოთა შესრულება ახალი რაციონალიზატორული ღონისძიების განხორციელებამ. დეკორაციული მობათქაშება აქ უმთავრესად საბათქაშო მანქანით ხდება. ეს მანქანა წნევის საშუალებით ხარაჩოზე მყოფ მუშას აწოდებს საბათქაშო ხსნარს, ხოლო მუშა ამ ხსნარს კედელს ასხამს მანქანის საშუალებით. კედლის დეკორაციული დაბათქაშებისათვის აქ ჩვეულებრივი ხსნარი კი არ გამოიყენეს, არამედ ფერადი, რის გამო დაბათქაშებული კედლის შემდგომი შეღებვა საჭირო აღარაა. დეკორაციულ საბათქაშო ხსნარს რუსთავში ამზადებენ სურამის ყვითელი ქვიშისაგან. ხსნარში ცემენტი სჭარბობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაბათქაშების თვითღირებულება მაინც ბევრად ნაკლებია. იმ საბათქაშო ხსნარს, რომელსაც სურამის ყვითელი ქვიშა ურევია, მანქანის პნევმატიკური სახელურით კედელს ასხამენ და ასეთი საშუალებით ერთი მებათქაშე, თუ იგი ისწავლის საბათქაშო მანქანით მუშაობას, რაც სრულიადაც არ არის ძნელი საქმე, დღეში 120-130 კვადრატულ მეტრ ფართობს მოაბათქაშებს.

რუსთავის მებათქაშეთა ასეთი გამოცდილებით სხვა მშენებლობებზე მომუშავეებმაც უნდა ისარგებლონ.

მ. ბოძსაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვაგონების მოცდენას ბოლო უნდა მოეღოს

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სადგურიდან ზესტაფონამდე დანიშნულია ამკრეფი მატარებელი, რომლის შედგენა სადგურ სამტრედიაში ხდება. ამ მატარებლის დანიშნულებაა რკინიგზის სამტრედია-ზესტაფონის „უბანზე განლაგებულ საგდგურებთან დაკავშირებული ქალაქებიდან და რაიონებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვა. მაგრამ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სადისპეტჩერო აპარატის მოუქნელი მუშაობით ხშირად გამზადებული მატარებლები 2-3 დღეს დგას სამტრედიის სადგურში და მათი დანიშნულებისამებრ გაგზავნაზე არავინ ფიქრობს. აი რამდენიმე მაგალითი:

ამკრეფი მატარებელი სამტრედია-ზესტაფონი მზად იყო და გრაფიკით უნდა წასულიყო 28 სექტემბერს; მაგრამ 29 სექტემბერსაც სამტრედიის სადგურში იდგა. ასეთი შემთხვევა იყო ოქტომბერშიც. 8 ოქტომბერს გამზადებული ამკრეფი მატარებელი № 1421 სამი დღე იდგა სადგურ სამტრედიაში და მხოლოდ მას შემდეგ გაგზავნეს დანიშნულებისამებრ, როცა სათანადო მითითების შემდეგ საქმეში ჩაერია რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. მ. ფავია. ასევე მოხდა 18-20 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს გასაგზავნი ამკრეფი მატარებელი 3 დღის დაგვიანებით გაუშვეს დანიშნულებისამებრ. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ შემადგენლობას მიაბამენ ვაგონს, რომელშიც მალფუჭი ტვირთია, ხოლო იმის გამო, რომ შემადგენლობა სამტრედიის სადგურში 2-3 დღეს დგას, ხელახლა ხსნიან და სხვა მატარებლებს უბამენ, ამით ტვირთი ხშირად ზიანდება.

საჭიროა ბოლო მოეღოს ამგვარ უპასუხისმგებლობას მუშაობაში და ვაგონების მოცდენას.

ვ. კოპალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ბოლშევიკური აჯანყება გურიაში 1919 წელს

(30 წლისთავი)

1919 წლის ნოემბერში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლისთავზე, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გურიაში მოეწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება. აჯანყებას საფუძვლად ედო ღრმა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები.

ცნობილია, რომ გურიის გლეხობამ თავისი გმირული ბრძოლით არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა ქართველი ხალხის ისტორიაში. გურიის გლეხობა მამაცურად იბრძოდა მემამულეებისა და მეფის თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ. მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ მენშევიკების ბატონობას საქართველოში არსებითი ცვლილება არ შეუტანია გლეხთა მდგომარეობაში. გურიის მშრომელი გლეხობა მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდა და ჩაგვრდნილი იყო მემამულეთა კაბალაში. ოთხი წლის იმპერიალისტური ომისაგან გაპარტახებული ოჯახები, მოუსავლობითა და შიმშილით აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნილი მშრომელი გლეხობა ამაოდ ელოდა მემამულეთა უღლისაგან განთავისუფლებას. მენშევიკებმა ხელუხლებლად დატოვეს სოფლად ბატონყმური ნაშთები, რაც გლეხთა დიდ მძელვარებას იწვევდა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რუსეთის გმირული პროლეტარიატის ისტორიულმა გამარჯვებამ აამოძრავა საქართველოს მშრომელი მასები. ბოლშევიკური ლოზუნგები უდიდეს თანაგრძნობას და მხარდაჭერას პოვებდა გურულ გლეხობაშიც. ამავე დროს მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და დაუკავშირდნენ უცხოეთის იმპერიალისტებს, რომელთა დახმარებითაც ახშობდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს საქართველოში.

1919 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დამარაგებდნენ ინგლისელი ოკუპანტები. აქედან ისინი მენშევიკურ მთავრობასთან ერთად ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ სამხრეთის ფრონტზე მოქმედ დენიკინის კონტრრევოლუციურ ლაშქრობას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

1919 წლის ზაფხულში საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ენერგიული მზადება გააჩაღეს მუშებისა და მშრომელ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. გადაწყდა აჯანყების მოწყობა ოქტომბერში.

ამ დროს სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულ საბჭოთა რუსეთში მეტად მძიმე და დაძაბული ვითარება იყო შექმნილი. „შუა ოქტომბრისათვის თეთრებმა დაიკავეს მთელი უკრაინა, აიღეს ორიოლი და უახლოვდებოდნენ ტულას, რომელიც ჩვენს არმიას ვაზნებით, შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით ამარაგებდა. თეთრები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა უაღრესად სერიოზული ხდებოდა. პარტიამ განგაში ასტეხა და მოუწოდა ხალხს წინააღმდეგობის გაწევისაკენ. ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 289).

ამ დროს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საქართველოში იქნებოდა ერთ-ერთი ლახვარი დენიკინის ზურგში და დამმარება წითელი არმიისათვის, რომელიც ამ დროს დიდი სტალინის გეგმით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით დენიკინის ურდოებს ანადგურებდა.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება გურიაში ექვემდებარებოდა რუსეთის კ. პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ შემუშავებულ აჯანყების ერთიან გეგმას. გურიის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება, მენშევიკების ადგილობრივი ხელისუფლების დამხობა უნდა დაკავშირებოდა მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა აჯანყებას მენშევიკების ბატონობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. მაგრამ ფართო აჯანყების გეგმა საქართველოს მასშტაბით ვერ განხორციელდა. ოქტომბერში მენშევიკებმა გააძლიერეს რეპრესიები, მოაწყეს თავდასხმები ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე. მარტო ქალაქ ფოთში ასი კაცი დააპატიმრეს. თელავში დაპატიმრეს ბოლშევიკთა სამაზრო კონფერენციის მთელი შემადგენლობა. 22 ოქტომბერს ღამით თბილისში დააპატიმრეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი — აჯანყების მომწყობი მთავარი ცენტრი. მენშევიკებმა სისხლში ჩაახრჩეს 24 ოქტომბერს მომხდარი შეიარაღებული აჯანყებანი ლაგოდეხში, სამტრედიაში, კულაშში, გუმსა და სხვა ადგილებში.

გურიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. იმართებოდა პარტიული თათბირები, იქმნებოდა მებრძოლი რაზმები; მიღებული იყო ყოველი ღონისძიება იარაღის შესაძენად, წარმოებდა მუშაობა ჯარის ნაწილებში. სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე განხილულ იქნა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. ადგილებზეც მოეწყო რაიონული შტაბები. შემუშავდა აჯანყების კონკრეტული გეგმა, განაწილდა ძალები; განისაზღვრა, თუ რომელი სოფლების შეიარაღებულ რაზმებს უნდა მიიღოთ მონაწილეობა ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და სხვა პუნქტების დაკავებაში. მებრძოლი რაზმების ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება მთელ გურიაში მიმდინარეობდა უაღრესად კონსპირაციულად, მაგრამ მზადებაში მონაწილეობდნენ მშრომელ გლეხთა ფართო მასები. მენშევიკებს შეუმჩნეველი არ დარჩენ ეს გარემოება, აჯანყების მოწყობის წინაღმდეგ წინასწარ მიიღეს ზომები: ოქტომბერში დააპატიმრეს მოწინავე პარტიული მუშაკები, სამაზრო კომიტეტის წევრები, აგრეთვე ხიდისთავის რაიონული კომიტეტის მთელი შემადგენლობა. მიუხედავად რეპრესიების გამლიერებისა, მათ მაინც ვერ შეძლეს აჯანყების ჩაშლა.

8 ნოემბერს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გურიაში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ღამით ლანჩხუთის რაიონის გლეხთა შეიარაღებული რაზმები შეიჭრნენ ლანჩხუთში და დაიკავეს გვარდიის შტაბი, ფოსტა და სხვა დაწესებულებანი. როგორც მენშევიკური გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა (იხ. № 262, 1919 წ.), ღამის სამ საათზე ლანჩხუთში „...საშინელი სრესა აწყდა. პირველი იერიში ქალაქისა და რაიონის მილიციის სამმართველოებზე იქნა მიტანილი. პატარა წინააღმდეგობის შემდეგ, ქალაქის მილიციის სამმართველო დაიკავეს, მილიციონერებს იარაღი აჰყარეს და გამაგრდნენ. მეორე ჯგუფმა რაიონის მილიციის ბინა დაიკავა, უფრო დიდი ჯგუფი გვარდიის შტაბს შემოერტყა... ასეთივე გამოსვლები მოხდა სოფ. სილაურში და სუფსაში... სუფსაში კომუნისტები ღამის 4 საათზე შეიჭრენ... ტელეფონით გამორეკეს ჯუმათს, ლანჩხუთს და ნატანებს, აცნობეს, რომ საღგური და დაბა მათ ხელშია“.

9 ნოემბერს ღილის 5 საათზე ჩოხატაურის და მახლობელი სოფლების მებრძოლი რაზმების შეერთებულმა ძალებმა აიღეს დაბა ჩოხატაური, დაიკავეს ფოსტა-ტელეგრაფი, გვარდიის შტაბი, მილიციის სამმართველო, იარაღის საწყობი, სასამართლო, ერობის სამმართველო და სხვა დაწესებულებანი. ჩოხატაურის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

ჯუმათის, სილაურის და გურიის მთელი რიგი სხვა სოფლების აჯანყებულ გლეხთა რაზმები დამძრნენ სამაზრო ცენტრის — ოზურგეთის ასაღებად. კოკისპირული წვიმის, ნიაღვრების, მდინარეების — სუფსისა და ნატანების — ადიდების გამო ვერ მოეწყო ოზურგეთის ასაღებად განკუთვნილ შეიარაღებულ ძალთა შეერთება, სამაზრო ცენტრი აუღებელი დარჩა.

გურიის აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: სევასტი სარიშვილი, სარდიონ ჯიბუტი, პროკოფი თავდუმაძე, კოწია გოგუაძე, ილარიონ ჩხარტიშვილი, აკაკი ცხოველიძე, შერმანდი ცინცაძე და სხვა მრავალი რევოლუციონერი: აჯანყებას რ. კ. პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების სამაზრო კომიტეტი.

მენშევიკები ცეცხლითა და მახვილით შეუდგნენ აჯანყების ჩაქრობას. აჯანყებული სოფლების წინააღმდეგ დასაძრეს გვარდიისა და ჯარის შეიარაღებული ნაწილები. სუფსისაკენ გაიგზავნა ჯავშნიანი მატარებელი ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით. აჯანყებულ სოფლებს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს. ოზურგეთიდან ჩოხატაურისაკენ გაიგზავნა არტილერიით შეიარაღებული ბატალიონები. ამავე დროს საჯეკვეხოსკენ გაგზავნილი შეიარაღებული გვარდიელები ჩოხატაურს მიადგნენ აღმოსავლეთიდან. დამსჯელმა რაზმებმა ააწიოკეს აჯანყებულ გლეხთა ოჯახები. მასობრივად აპატიმრებდნენ აჯანყების მონაწილეთ, მრავალს კატორღა მიუსაჯეს, 11 კაცი (ილარიონ სარჯველაძე, ავთანდილ და პარმენ მამალაძეები, ბენია ბერიძე, ტარასი მინდაძე, ფილიმონ გოგოლაძე და სხვები) სიკვდილით დასაჯეს.

გურიაში და საქართველოს სხვა ადგილებში მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელთა და აქტიურ მონაწილეთა დახვრეტისა და წამების გამო კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ საქართველოს ყველა მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცების მიმართ გამოშვებულ მოწოდებაში ნათქვამი იყო:

„ჯალათ მენშევიკებს ჰგონიათ, რომ ასეთი მკვლელობით ისინი აღმოფხვრიან საქართველოში რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობას, მაგრამ ერთი მოკლული ამხანაგის ადგილას გაჩნდებიან ათეულები და ასეულები, რომლებიც მედგრად განაგრძობენ დახოცილ და წამებულ ამხანაგების საქმეს... ჩვენ მოგვეწოდებთ ამხანაგებს განაგრძონ მუშაობა ძალების შესაკავშირებლად... მენშევიკების ღალატანდელი გამარჯვება ხალხზე და მუშების და გლეხების სისხლით დათრობა ეს მათი საუდამო დასასრულია“. (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი № 33, საქმე № 254).

გურიის 1919 წლის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მშრომელთა დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია. ეს აჯანყება ერთ-ერთი რგოლი იყო აჯანყებათა იმ დიდი ჯაჭვისა, რომელმაც ნიადაგი შეურყია მენშევიკურ მთავრობას და მოამზადა პირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ამ აჯანყებიდან ერთი წლისა და ოთხი თვის შემდეგ საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ წითელი არმიისა და დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს მენშევიკების ბატონობა და მთელ საქართველოში აღმართეს გამარჯვების დროშა.

ს. ბერიძე

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). ორი წელიწადია, რაც გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების მევენახეები ერთმანეთს ეჯიბრებიან ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. შარშან ზესტაფონელებმა გაიმარჯვეს. ჰექტარზე საშუალოდ 48 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გურჯაანელმა მევენახეებმა ყურძნის უხვი მოსავლის მიღება იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში კელავ ზესტაფონელები გამოიწვიეს. ამ დღეებში ზესტაფონელთა დელეგაცია გურჯაანს ეწვია. დელეგაციის ამოცანა იყო გასცნობოდა გურჯაანელ მევენახეთა მიღწევებსა და გამოცდილებას.

ზესტაფონელი მევენახეები პირველად ესტუმრნენ ველისციხის კოლმეურნეობებს. მათ დაათვალიერეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ვენახები. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ აგრონომმა მ. გიორგაძემ სტუმრებს უამბო რომ ამ კოლმეურნეობას 63 ჰექტარი ვენახი აქვს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეები აქ ზუსტად იცავენ ვენახის დამუშავების აგროწესებს—4-5-ჯერ ხნავენ და ბარავენ, 6-7-ჯერ მკურნალობენ, დროზე ასრულებენ მწვანე ოპერაციებს, უხვად შეაქვთ სასუქი, სპობენ ვაზის მავნებლებს. შარშან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 56 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, წელს კი, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ჰექტარზე საშუალოდ 72 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს. უფრო სასახელო მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ რგოლებსა და კოლმეურნეებს. მერგოლურმა მ. ზირაქაშვილმა თვითეულ ჰექტარ ვენახში საშუალოდ 110 ცენტნერი ყურძენი მოიწია, მერგოლურმა კ. სომხიშვილმა—116 ცენტნერი, მერგოლურმა ნ. ჭიჭიკოშვილმა—113, მერგოლურმა ს. აბელაშვილმა—107 ცენტნერი და ი. შ. კოლმეურნეობამ სახელმწიფო ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულა და 1.800 ცენტნერის ნაცვლად 1.900 ცენტნერი ყურძენი ჩააბარა.

ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გ. კაკალაშვილი ეჯიბრება ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირ ირინა ჭულუხაძეს. მათ ერთმანეთს უამბეს წლევანდელ შედეგებზე. გ. კაკალაშვილმა 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 123 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ი. ჭულუხაძემ კი ჰექტარზე საშუალოდ—83 ცენტნერი. ამრიგად, სოციალისტურ შეჯიბრებაში წელსაც გ. კაკალაშვილმა გაიმარჯვა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აბო. გ. გელეუკაშვილმა სტუმრებს უამბო, რომ ველისციხელ კოლმეურნეთა ოჯახები ყოველწლიურად უხვი საკოლმეურნეო ბარაქით იცხოვრებენ. მარტო პრემია-წანამატის ანგარიშში კოლმეურნეებმა უკვე მიიღეს 500 ცენტნერზე მეტი ყურძენი. კოლმეურნე ქ. სომხიშვილმა, რომელმაც მიიღო ერთ ჰექტარ ვენახში 157 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, პრემია-წანამატის სახით 2.270 კილოგრამი ყურძენი მიიღო. ასეთი მაგალითები ბევრია.

დელეგაციის წევრები, როცა ვენახებს ათვალიერებდნენ, მეტად დაინტერესა ვაზის ორმხრივი წესით გასხვლამ და გადასწყვიტეს, წელს მათაც ამ წესით გასხლან ვაზი. ეს ხელს შეუწყობს ყურძნის მოსავლიანობის გაზრდას.

ზესტაფონელმა მევენახეებმა დაათვალიერეს აგრეთვე მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის და შაინის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები. დელეგაციის წევრები აღაფრთოვანა სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის შესანიშნავმა მიღწევებმა. ამ კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 116 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამაც.

გურჯაანელმა და ზესტაფონელმა მევენახეებმა პირობა მისცეს ერთმანეთს, რომ ამთავითვე შეუდგებიან მომავალი წლის უფრო უხვი მოსავლიანობის ბრძოლას, საშემოდგომო სამუშაოებს სწრაფად და მაღალხარისხოვნად შეასრულებენ.

ᲗᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ 3. ᲝᲡᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ⲙ. ᲨᲐᲕᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. (სპეც. კორ.). ᲨᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲡ-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები ვალერიან ოსაძე და მიხეილ შავერდაშვილი გაეცნენ უკრაინელი ტრაქტორისტების ნ. აგაფანოვის და ს. კოვალენკოს მეთოდს ხვნაზე საათობრივი გრაფიკით მუშაობის შესახებ. ამ მეთოდის გამოყენებით კიევის ოლქის კანევის მტს-ის ტრაქტორისტმა ს. კოვალენკომ დღეღამეში მოხნა 31,75 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,6 ჰექტარისა.

ᲨᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲡ-ის მოწინავე ტრაქტორისტებმა ვ. ოსაძემ და მ. შავერდაშვილმა, დაიწყეს რა გრაფიკით მუშაობა, „სტზ“-ნატის ტრაქტორით, რომელსაც ოთხკორპუსიანი გუთანი ჰქონდა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9,5 ჰექტარისა დღიღამეში მაღალხარისხოვნად მოხნეს 16 ჰექტარი და მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგეს საწვავი.

აღნიშნულმა ტრაქტორისტებმა ვალდებულება იკისრეს დღეღამეში მოხნან 20 ჰექტარი.

Ⲙ ᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). თელავში მოეწყო საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების ექსპონატთა გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია შვიცის გაუმჯობესებული ჯიშის ძროხები, შვიცის ნაჯვარი თაობის ბუღები, ჯიშიანი ღორები, თუშური ჯიშის ნაჯვარი ცხვარი და სხვ.

ექიერომ ჯილდო და სიგელი მიაკუთვნა ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ივ. ბაღანაშვილს, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის სულადობის სამწლიანი გეგმა. დაჯილდოებულ იქნა სოფელ გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მედორეობის ფერმის მწყემსი ვ. გოგეტაშვილი, რომელმაც ერთ დედაღორზე წელს მიიღო და გამოზარდა 28 გოჭი. სულ დაჯილდოებულია 20-ზე მეტი მოწინავე მეცხოველე.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

1946 წლის შემოდგომაზე ჩემი შვილი ალექსი ზვიადაძე მძიმედ დააზიანა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ვოროშილოვის სახელობის მძღოლმა, ავტოხულიგანმა შალვა სვარიძემ. დაზიანების გამო ჩემს შვილს აქვს ძლიერი კონტუზია და ნერვების დაავადება. ავტოხულიგნის საქმე 1947 წლის იანვარში გაარჩია სასამართლომ და შ. სვარიძეს მიუსაჯა წელიწადი და ექვსი თვე პატიმრობა და ჩემი შვილის სამკურნალოდ 3.670 მანეთის გადახდა.

მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. სვარიძემ სასჯელი მოიხადა, მაგრამ დაავადმყოფებული შვილის სამკურნალოდ გადაწყვეტილი თანხის გადახდევინება სასამართლომ რატომღაც დაივიწყა. ერთხანს სასამართლოს აღმასრულებელი ყალბი საბუთის შედგენის გზით შეეცადა საქმე დასრულებულადაც კი გამოეცხადებინა, მაგრამ როცა კომბინაცია გამოაშკარავებული იქნა, სასამართლომ საქმე კელავ აღადგინა და დამპირდა დაეჩქარებინა გადაწყვეტილების აღსრულება. მიუხედავად ამისა, დღემდე გადაწყვეტილების მთლიანად აღსრულებისათვის ზომებს არ იღებენ არც აღმასრულებელი ყარალაშვილი და არც წითელწყაროს სახალხო მოსამართლე ამხ. კ. ბეიტრიშვილი.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს მდგომარეობა, რატომ არ ზრუნავს წითელწყაროს რაიონის სახალხო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის?

ᲘᲡᲐᲐᲚᲘ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲫᲔ

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲤᲔᲠᲬᲐᲛᲮᲓᲐᲚᲘ ᲦᲝᲛᲘ, ᲗᲝᲠᲜᲔᲡ ᲙᲣᲠᲘ, ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲭᲐ“ ᲓᲐ ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲔᲤᲝᲜᲘᲡᲤᲔᲑᲘ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი, რომელიც ეხებოდა ჩხოროწყუს რაიონულ გაზეთში მოთავსებულ უშინაარსო და ენობრივად დამახინჯებულ ფელეტონურ კორესპონდენციას „ძროვალი პატრონის ხელში დაჩაგრულს“.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი მ. პაკორია გვატყობინებს, რაიკომის ბიუროს პარტიული სასჯელი დაადო რაიონული გაზეთის რედაქტორს გ. ბაბავას და რაიკომის პროპაგანდისტს და აგიტაციის გაზეთფილების გამგეს მ. თოლუას. რაიონული გაზეთის ლიტმდივანი ა. ნაჭყეპია მოიხსნა სამუშაოდან, წერილის ავტორს რაიპროკურორის თანამშემწეს ვ. კვარაცხელიას, რომელმაც არასწორი მასალები მიაწოდა რედაქციას, გამოეცხადა საყვედური.

რაიკომმა დასაბა ლონისძიებანი გაზეთის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ Ⲛ. Ⲙ. ᲩᲣᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ბერლინში, გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან არმიის გენერალ გ. ი. ჩუიკოვთან მოეწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წევრთა მიდგა.

12 საათზე კარლსჰორსტში, საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის რეზიდენციაში, მივიდნენ: პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვალტერ ულბრიხტი, პროფესორი გერმანგასტნერი, ოტო ნუშკე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები.

პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინა პრემიერ-მინისტრის მოადგილეები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები, რის შემდეგაც გ. ი. ჩუიკოვმა გააკეთა განცხადება გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელი ხალხის დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმ დახმარებისათვის, რასაც იგი მას უწევს დემოკრატიული, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნაში.

დარბაზობა დამთავრდა საბჭოთა საკონტროლო კომისიის ხელმძღვანელებისა და გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეების საუბრით, რომელიც მეგობრულ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ Ⲛ. Ⲙ. ᲩᲣᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ, არმიის გენერალმა გ. ი. ჩუიკოვმა გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით გაკეთა შემდეგი განცხადება:

„10 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობის დავალებით მე ვაცნობე დროებითი სახალხო პალატის პრეზიდიუმს და პრემიერ-მინისტრ ბატონ ოტო გროტეოლს, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას გადასცეს მმართველობის ფუნქციები, რაც წინათ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციას ეკუთვნოდა, აგრეთვე გაცნობე, რომ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციის ნაცვლად გერმანიაში შეიქმნება საბჭოთა საკონტროლო კომისია.

საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ამჟამად შექმნილია საბჭოთა საკონტროლო კომისია გერმანიაში. საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია და მისი სამმართველოები ცენტრსა და ადგილებზე უქმდება, ხოლო მათი ფუნქციები გადაეცემა სათანადო სამინისტროებს და გერმანიის ხელისუფლების სხვა ორგანოებს.

საბჭოთა საკონტროლო კომისიის ამოცანას შეადგენს გერმანიის შესახებ ოთხი სახელმწიფოს პოტსდამისა და სხვა ერთობლივ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი. ეს ნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით მთავრობას თავისუფლად შეუძლია განახორციელოს თავისი საქმიანობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, რამდენადაც ეს საქმიანობა არ ეწინააღმდეგება პოტსდამის გადაწყვეტილებებს და იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი იდგება პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა პოზიციებზე და შეასრულებს ოთხი სახელმწიფოს ერთობლივი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს. ეს განცხადება საბჭოთა მთავრობამ ცნობად მიიღო. ბუნებრივია, საბჭოთა საკონტროლო კომისია შეინარჩუნებს იმისადმი მეთვალყურეობის ფუნქციებს, რომ არ იქნას მიღებული არავითარი ზომები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ოთხი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ და მის სარეპარაციო ვალდებულებათა შესახებ, აგრეთვე შეინარჩუნებს უფლებას, რომ გერმანიის ორგანოებისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

საბჭოთა მთავრობა გმყარება იმას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-ს საგარეო ურთიერთობა და მისი საგარეო ვაჭრობა გერმანიის ხელისუფალთა კომპეტენციაში იქნება. საბჭოთა საკონტროლო კომისიის ფუნქციები ამ მხრივ, ისევე როგორც სხვა. დარგებში, ის იქნება, რომ საჭირო მეთვალყურეობა გასწიოს, ამასთან საგარეო ვაჭრობის დარგში ეს ფუნქციები იმით გამოიხატება, რომ უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის შესაბამისი გადაწყვეტილებების შესრულება.

საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენლებს ბერლინში, ისევე როგორც მის წარმომადგენლებს სხვა დიდ ქალაქებსა და მხარეებში, ეკისრებათ იგივე საკონტროლო ამოცანები. ამრიგად, მმართველობის ფუნქციები ბერლინშიც გადაეცემა გერმანიის დემოკრატიულ ორგანოებს. ცნობილ საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებით, საბჭოთა საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი ბერლინში კომისიის დავალებით განახორციელებს საჭირო ურთიერთობას დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფალთა სათანადო წარმომადგენლებთან.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა მთავრობა კელავაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს გერმანიის ერთიანობის აღდგენას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძვლებზე, აგრეთვე საზავო ხელშეკრულების დადებას გერმანიასთან.

დასასრულ, ნება მიბოძეთ რწმენა გამოვთქვა, რომ ურთიერთობა საბჭოთა საკონტროლო ორგანოებსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესებულებებს შორის გამსჭვალული იქნება ურთიერთნდობის სულისკვეთებით, რასაც მოყვება ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება“.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ Ⲛ. Ⲙ. ᲩᲣᲘᲙᲝᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან არმიის გენერალ გ. ი. ჩუიკოვთან მოწყობილ დარბაზობაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

ბატონო არმიის გენერალო, ბატონებო!

იმის რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას მისცემდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩვენ მივიღეთ ჯერ კიდევ 1949 წლის 10 ოქტომბერს თქვენს მიერ მაშინ გაკეთებული განცხადებიდან. მოქმედების თავისუფლების ის მოკლულობა, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთავრობა გვანიჭებს თქვენი დღევანდელი განცხადებით, აღგვაესებს კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით.

10 ოქტომბერს მე შესაძლებლობა მქონდა მომეხსენებინა თქვენთვის ის პრინციპები, რომლებზედაც აგებული იქნებოდა „მუშაობა ძველ მარჯვნივ, რეაქციისაკენ გადახრაზე და მშრომელი გლეხობის ინტერესების ღალატზე. ი. ჭავჭავაძის პირადი წერილების ყურადღებით შესწავლა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ქართველი ხალხის დიდი მწერალი ბოლომდე დარჩა 60-იანი წლების დემოკრატიული იდეების ერთგული.

კითხულობ ილია ჭავჭავაძის წერილებს და გაოცებს მისი საზოგადოებრივი ინტერესების სიფართოვე, მისი დაშრეტელი ენერგია და უანგარო მოღვაწეობა, ქართული კულტურის საქმისათვის, ქართველი ხალხის ამაღლებისათვის მისი ჭეშმარიტად გმირული თავდადება. ამ ბუმბერაზი ადამიანის ფიქრი და გონება გაანუწყვეტლივ თავს დასტრიალებს ქართველ ხალხს, მის კეთილდღეობას, მის აწმყოსა და მომავალს. ილიას ხელი ყველაფერს სწვდება, ყველაფერს ასწრებს.

აი, მაგალითად, უაღრესად საინტერესო წერილები, რომლებშიც აღბეჭდილია ილია ჭავჭავაძის დაუღალავი, მამრბრივი ზრუნვა ქართული თეატრის აღორძინებისათვის. ცნობილი მსახიობისა და თეატრალური მოღვაწის კოტე ყიფიანისადმი 1880 წელს გაგზავნილ წერილში ილია წერს:

Многоуважаемый Константин Дмитриевич! Очень и очень прискорбно, что наше театральное дело в таком застое. Все члены товарищества раз'ехались и нет человека, который мог бы взять на себя заботу относительно пополнения труппы. Я лично расчитывал на Вас, но и Вы, как видно из Вашего письма, желаете освободить себя от этой необходимой работы. Вполне разделяю Ваше мнение, что к 15-му августа вся труппа должна быть налицо. Но как это устроить,—не знаю. Главное, мне неизвестны лица, которые полезны для дела и могли бы быть приглашены в труппу. Указать их можете только Вы один, а потому прошу Вас сообщить мне их имена и адреса. Я сам спишусь с ними, авось, дело как-нибудь выгорит.

ერთი წლის შემდეგ კი თაგას მეგობარს ი. ოქრომეშედლიშვილს ილია ჭავჭავაძე ატყობინებს:

„თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ორმა აქტიორმა აბაშიძემ და მესხმა ანტრეპრენიორობა იკისრეს, აწინდელი მათი ტრუპპა ძალიან კარგია, კომიკურის როლებისათვის „ეცი თუ ქალი“ ასეთი კარგი არიან, რომ ამჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს კახელი ალექსიეფ-მესხიევი. პირველ დებიუტშივე ყველანი ოტაკაცებაში მოიყვანა. ტრუპპა, სწორედ გითხრა, ლუბათიანია და ახალ ანტრეპრენიორს ძალიან რიგიანად მიჰყავთ საქმე. მაგრამ რას იქ? ხალხი არ დადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც ადგეს... ცოდვაა, ღმერთმან იცის, მომაკვდინებელი ცოდვაა, რომ უფონობით და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი სამასი თუმანი რომ გარიდამ როგორმე მიგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფეხს მოიმაგრებდა. თუ რამ შეგიძლიან, ძმაო ილიკო, ნუ დაზოგავ. ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაცონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდგას“. (გვ. 62).

ეს წერილები კომენტარიებს არ საჭიროებენ. ისინი უაღრესად ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ქართული კულტურის დიდი მოამაგის პიროვნებაზე, — იმ დიდებულ ადამიანზე, რომელმაც თავისი ფიქრები და გრძნობები, მთელი თავისი არსება გულში ჩამწედომ, უძღვა სიტყვებში ჩააქსოვა:

„ძალ აქეთ, რაკი შენდამი ეცან
მე სიყვარული,
ჭოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ
სულგანაბული.
ღამე თენდება ეგრედ ჩემთ
და დღე ღამდება“.

* * *

სარეცენზიო წიგნის შემდგენელს ი. ბოცვაძეს უთუოდ სერიოზული და სასარგებლო შრომა გაუწევია. მაგრამ კრებულს მაინც აქვს ზოგიერთი ისეთი ნაკლი, რომელთა აცილება განსაკუთრებული სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ფრიად დასანანია, რომ სარეცენზიო გამოცემაში არ შესულა ილია ჭავჭავაძის წერილები მეუღლისადმი. ამ საკითხზე წიგნის შემდგენელი წინასიტყვაობაში წერს: „ჩვენ კრებულში არ შეგიტანეთ ილ. ჭავჭავაძის წერილები მეუღლისადმი (ოლგა გურამიშვილის-ჭავჭავაძისადმი), რომლის მდიდარი კოლექციაც აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება და მკვლევარ ბ. ინგოროყვას მიერ გამოსაცემად არის გამზადებული“. (გვ. 6). მაგრამ რატომ, რა საბუთით არის მიზანშეწონილად ცნობილი მეუღლისადმი მიწერილი წერილების ცალკე წიგნად გამოცემა? (სხვათა შორის, 10 წელიწადზე მეტია, რაც ამ წერილების გამოქვეყნებას მკითხველს ჰპირდებიან, იხ. ი. ჭავჭავაძის „სიიუბილეო კრებული“, გვ. 83). არა გვგონია საჭირო იყოს ამის მტკიცება, თუ რამდენად მოიგებდა სარეცენზიო გამოცემა, შიგ ი. ჭავჭავაძის ყველა წერილი რომ ერთად ყოფილიყო თავმოყრილი.

სარეცენზიო კრებულის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ი. ჭავჭავაძის წერილები ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული. წიგნის შემდგენელსა და რედაქტორს წერილების დალაგებისას ამ მოსაზრებით უხელმძღვანელიათ, რომ მკითხველს „ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“. (გვ. 7). ამიტომ ერთმანეთში აურევიათ სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მკითხველისათვის მოაგარია წარმოიდგინოს თვით ი. ჭავჭავაძის აზრთა განვითარება და არა მარტო ის, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა მწერალს თავის ადრესატებთან.

გაუგებარია, რატომ მოუთავსებიათ ი. ჭავჭავაძის პირადი წერილების კრებულში ერთადერთი არაპირადი წერილი. მხედველობაში გვაქვს პედაგოგ ლ. ბოცვაძისადმი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მომართვა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ხელს აწერს, როგორც ამ საზოგადოების თავმჯდომარე. დედანში ამ მიმართვას, ილიას გარდა, ხელს აწერს აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი. ცხადია, პირადი წერილების კრებულში ამ ოფიციალურ დოკუმენტს ადგილი არ უნდა დასთმობოდა, რადგან, ყველასთვის ცნობილია, რომ ასეთი დოკუმენტები სხვაც მრავალია. წიგნის შემდგენელს ამხ. ი. ლ. ბოცვაძეს ამ შემთხვევაში მეტი თავმდაბლობა მოეთხოვებოდა.

სარეცენზიო წიგნი ტექნიკურად ვერ ბრის რიგიანად გაფორმებული, ბევრია შიგ კორექტურული შეცდომები, ცუდათაა გამოსული ილუსტრაციები.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ილია ჭავჭავაძის პირადი წერილების ცალკე წიგნად გამოცემა ეროვნულად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენაა.

Ბ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ“ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

11 ნოემბერს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებაში შეიგა პრეს-კონფერენცია საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ დელეგაციისა, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღესასწაულზე.

პრეს-კონფერენციის გახსნისას დელეგაციის მეთაურმა—საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ გენერალურმა მდივანმა—ჯუზეპე ბერტიმ განაცხადა, რომ დელეგაციის შემადგენლობაში არიან პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, აგრეთვე ხელმძღვანელი მუშაკები საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირისა“, რომლის რიგებშიც 340.000 წევრი თვლება.

საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის“ ამას წინათ მოწყობილი ყრილობის წარმატება მოწმობს,—თქვა ბერტიმ,—რომ იტალიის მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები რწმუნდებიან, რომ საჭიროა ურთიერთობა ერებს შორის, ურთიერთობა ეკონომიკურ, ტექნიკურ, ოტო ნუშკე და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ Ⲛ. Ⲙ. ᲩᲣᲘᲙᲝᲕᲗᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐᲖᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 ნოემბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან არმიის გენერალ გ. ი. ჩუიკოვთან მოწყობილ დარბაზობაზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

ბატონო არმიის გენერალო, ნება მიბოძეთ ჩემი მთავრობის სახელით უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ და ამასთანავე დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი შუამბრით გავამართლებთ საბჭოთა კავშირის მთავრობის ნდობასა და დანმარებას და

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის პლენარული სხდომა

ბერლინი, 10 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ შედგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის მეხუთე პლენარული სხდომა. სხდომის გახსნისას დროებითი სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გერმან მატერნი შეჩერდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობასა და სხვა ხალხთა მიმართ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე.

შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეორგ დერტინგერმა პალატას ოფიციალურად აცნობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებს შორის დიპლომატიური მისიების გაცვლა. მინისტრმა განაცხადა, რომ ამჟამად გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური მისიები გაუცვალა საბჭოთა კავშირს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს, უნგრეთს, რუმინეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა, — განაგრძო დერტინგერმა, —ძირითად ამოცანად ისახავს მოიპოვოს საერთაშორისო ცნობა, გერმანელი ხალხისათვის ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, რაც მოთხოვნილი იყო მთავრობის 12 ოქტომბრის განცხადებაში. ამასთან იგი ემყარება მშვიდობის მძლავრ ბანაკს, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. გერმანიის დემოკრატიულმა ძალებმა განსაკუთრებული კმაყოფილებით მიიღეს სიტყვები, რომლებიც გერმანიის საკითხზე თქვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის შესახებ.

როგორც გერმანიის ახალი საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, საჭიროდ მიმაჩნია დღეს მადლობა ვუძღვნა საბჭოთა კავშირს იმ ქმედითი დახმარებისა და თანმიმდევრული მხარდაჭერისათვის, რასაც იგი დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტს უწევს ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მშვიდობის მთელი ბანაკის ეს მხარდაჭერა გვანიჭებს ძალასა და რწმენას, რომ ჩვენ შევძლებთ წარმატებით მივიყვანოთ ბოლომდე ჩვენი სამართლიანი საქმე".

შემდეგ ყველა ფრაქციის წინადადებით დროებითმა სახალხო პალატამ მიიღო ერთობლივი რეზოლუცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავთან დაკავშირებით:

„7 ნოემბერს,—ნათქვამია რეზოლუციაში,— საბჭოთა კავშირის ხალხები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს. ამ დღესასწაულის დღეს დემოკრატიული მსოფლიოს ფიქრი მიპყრობილია საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. ამ დღეს გერმანელი ხალხი საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ყველა საბჭოთა მოქალაქეს გულითადად ულოცავს.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ნიშნავს ძირითად მობრუნებას მთელი კაცობრიობის განვითარებაში. ისტორიაში რევოლუციურმა მოძრაობამ პირველად შეძლო შეესრულებინა დიადი ამოცანა—შეექმნა ისეთი საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც სპობს ომების მიზეზებსა და კრიზისებს და ქმნის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის საფუძველს.

ძალა, რომელმაც საბჭოთა კავშირი დიადი საქმეების შემსრულებელი გახადა, არის განუყოფელი კავშირი ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა შორის და საბჭოთა კავშირის ხალხთა სრული ეროვნული თანასწორუფლებიანობა. ურყევი სამშვიდობო პოლიტიკა საბჭოთა კავშირისა, რომელსაც სურს დაიცვას არამარტო თავისი ქვეყანა, არამედ ყველა ხალხიც ახალი მსოფლიო ხანძრისაგან, რის დანთებასაც ლამობენ ინგლისელ-ამერიკელი ომის გამჩაღებლები, მიმართულია ყველა ხალხის ნამდვილი ეროვნული ინტერესების და არაუკანასკნელ რიგში გერმანელი ხალხის ინტერესების დაცვისაკენ.

ისტორიულმა დეპეშამ, რომელიც გენერალისიმუსმა სტალინმა პრეზიდენტ ვილჰელმ პიცა და პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლს გადმოუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით, კვლავ ცხადად და არაორაზროვნად დაადასტურა ეს. მეგობრული და გულითადი სიტყვებით მოაგონეს გერმანელ ხალხს, რომ მის ისტორიაში ყველაზე უსაამოვნო დრო ის იყო, როცა გერმანელი ხალხი მტრულად იყო განწყობილი დიდი რუსი ხალხის მიმართ. გერმანელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ, რომ იგი დიდ საბჭოთა ხალხთან ერთად ეწეოდეს ბრძოლას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით გერმანელი ხალხის მტრებმა—ომის გამჩაღებლებმა — საგრძნობი დარტყმა იგემეს. საფუძველი ჩაეყარა ახალ დემოკრატიულ გერმანიას, რომელიც სამუდამოდ მოუღებს ბოლოს საბედისწერო წარსულის პოლიტიკას და განავითარებს დემოკრატიის, ჰუმანურობისა და მშვიდობის სულისკვეთებას.

მთელმა რიგმა ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით ამ ფაქტებიდან გამოიტანეს დასკვნა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი სახალხო პალატის წევრები განსაკუთრებული სიხარულით უძღვნიან გულითად სალამს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ჩამოსულ სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაურს ბ-ნ გ. მ. პუშკინს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის გამო ჩვენ არა მარტო გულითად სურვილს ვუთვლით მოსკოვს, არამედ კიდეც ვაცხადებთ, რომ საბჭოთა და გერმანელი ხალხების მტკიცე მეგობრობა ურყევი ბურჯი იქნება მთელ მსოფლიოში მომავლისა და მშვიდობისათვის". (**მჭუხარე ტაში**).

მთავრობის წინადადებით და გაცხოველებული დისკუსიის შემდეგ დროებითმა სახალხო პალატამ ერთხმად მიიღო ამნისტიის კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით. კანონი ეხება იმ პირთ, რომელთაც 1949 წლის 7 ოქტომბრამდე მისჯილი ჰქონდათ პატიმრობა 6 თვემდე ან ფულადი ჯარიმა არაუმეტეს 5 ათასი გერმანული მარკისა. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ისეთი საქმეების სასამართლო გარჩევა, რომლებიც ეხებიან 1949 წლის 7 ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულობათ და რომლებიც არ იწვევენ უფრო მკაცრ დასჯას, ვიდრე 6 თვემდე პატიმრობა ან არაუმეტეს 5 ათასი მარკა ფულადი ჯარიმისა.

მთავრობის წინადადებით ერთხმად მიღებულ იქნა აგრეთვე შემდეგი კანონები: კანონი ნაციონალური პარტიის ყოფილი წევრებისა და ფაშისტური არმიის ოფიცრების მიერ დანაშაულის გამოსყიდვისა და მათთვის სამოქალაქო უფლებათა უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, კანონი საგარეო ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამინისტროს „გერმანიის შინავაჭრობის, საგარეო ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამინისტროდ" გარდაქმნის შესახებ. განხილულ იქნა კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს და უმაღლესი პროკურატურის შექმნის შესახებ.

დროებითმა სახალხო პალატამ დაამტკიცა საკავშრო შეთანხმება, რაც ამას წინათ დაიდო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

ერთხმად დამტკიცებულ იქნა დროებით სახალხო პალატასთან არსებული მუდმივი კომისიები: საერთო საკითხების, უცხოეთის საქმეებისა და შრომისა და ჯანმრთელობის საკითხების კომისიები, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის, ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის, სოფლის მეურნეობისა და მეტყეობის საკითხთა მუდმივი კომისიის, იურიდიული კომისიის, სახალხო განათლების საკითხთა კომისიისა და ეკონომიურ საკითხთა მუდმივი კომისიის შემადგენლობა.

დროებითი სახალხო პალატის შემდეგი სხდომა შედგება 1949 წლის დეკემბრის დამდეგს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის პრეს-კონფერენციაზე

10 ნოემბერს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებაში შედგა პრეს-კონფერენცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციისა, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავის დღესასწაულზე. საბჭოთა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრებაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან შრომის გმირები, პროფკავშირული და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, გლეხები, მუშები, მწერლები, მეცნიერები, არტისტები. დელეგაციას მეთაურობს მწერალი ქალი დინ ლინი.

სტუმრებმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მონაწილეობა მიიღეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 32-ე წლისთავის დღესასწაულში.

ჩინეთის მუშათა კლასი, მთელი ჩინელი ხალხი,—თქვა დელეგაციის მეთაურის მოადგილემ სიუი ჯი-ჯენმა,—უდიდესი ყურადღებით აღევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობას. სსრ კავშირი მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხების შუქურაა. აქ შექმნილია ახალი მეცნიერება, ახალი კულტურა, და ჩვენ გვსურს ყველაფერი ვისწავლოთ ჩვენი საუკეთესო მეგობრის — საბჭოთა კავშირისაგან.

პეკინის უნივერსიტეტის პროფესორმა ცინ-ხუა უ ხანმა ილაპარაკა იმ უდიდეს შთაბეჭდილებაზე, რაც დელეგაციის წევრებზე მოახდინა ოქტომბრის დღესასწაულმა მოსკოვში, და თქვა: —სსრ კავშირს ჩვენ მუდამ განვიხილავდით, როგორც საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას, ყველაზე მაღალი კულტურისა და მეცნიერების ქვეყანას.

დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს ჩინელი ხალხის მეგობრობის გრძნობა საბჭოთა ხალხისადმი და აღნიშნეს, რომ მოსკოვში — მსოფლიოს დედაქალაქში — რამდენიმე დღეს ყოფნამ მათ შესაძლებლობა მისცა ახლოს ენახათ ცხოვრება სსრ კავშირში. ამ დღეების განმავლობაში,—თქვა პროფესორმა უ ხანმა,—ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ქვეყანა — მსოფლიოში სოციალიზმის პირველი ქვეყანა — მეცნიერებას ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის იყენებს.

ცნობილმა ჩინელმა დრამატურგმა ცაო იუმ ილაპარაკა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუშაობაზე.

ახალ დემოკრატიულ ჩინეთში პროფკავშირთა მოღვაწეობაზე ილაპარაკა პროფკავშირთა სრულიად ჩინეთის ფედერაციის სამდივნოს გამგემ სიუი ჯი-ჯენმა. პროფკავშირთა როლი ახალი ჩინეთის მშენებლობაში,—თქვა მან,—უდიდესია. ჩინეთის მეტი ნაწილისა და დიდი სამრეწველო ცენტრების განთავისუფლების შემდეგ ჩინელი ხალხის წინაშე ახალი ამოცანები დადასა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანად დასახა მრეწველობისა და ტრანსპორტის მალე აღდგენა და განვითარება. ამ მუშაობის დიდი ნაწილი პროფკავშირებს ეკისრებათ.

ჩინეთის პროფკავშირთა რიგებში,—თქვა სიუი ჯი-ჯენმა,—4 მილიონი კაცია. პროფკავშირთა წევრები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო საწარმოთა მმართველობაში. ამ ამოცანის გადაჭრის მსვლელობაში მუშათა წრიდან დაწინაურდა წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორთა და შრომის გმირთა დიდი რაოდენობა.

პრეს-კონფერენციას ესწრება მემანქანე ლი იუნი, რომელსაც შრომითი გმირობისათვის შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვიპოვეთ მტერზე გამარჯვება,—თქვა სიუი ჯი-ჯენმა.—კომპარტიისა და მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასისა და პროფკავშირების აქტიური მონაწილეობით გადავლახავთ ყველა სიძნელეს და გადავჭრით ყველა ჩვენს ეკონომიურ ამოცანას.

დელეგაციის წევრებმა დაწვრილებით ილაპარაკეს აგრეთვე სახალხო-განმათავისუფლებელ ომსა და ახალი ჩინეთის მშენებლობაში ჩინელი ინტელიგენციის როლზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების ამბავს,—თქვა ლი პეი-ჯიმ,—ჩინელი ქალები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. წინათ დაბეჩავებული და ჩაგრული ჩინელი ქალები ახლა აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. სახალხო პოლიტიკური სალონსულტაციო საბჭოს წევრთა შორის 69 ქალია. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ქალები 20-30 პროცენტს შეადგენენ. (საკდესი).

ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

პარიზი, 10 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა ოფიციალური ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შესახებ, რომელიც პარიზში მიმდინარეობს. ცნობიდან ჩანს, რომ 9 ნოემბრის სხდომაზე განიხილავდნენ პრობლემებს, „რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ სამი ქვეყნისათვის". ლაპარაკი იყო, კერძოდ, „გერმანიის მიმართ შეთანხმებული პოლიტიკის ძირითად დებულებათა შემუშავებაზე".

პარიზი, 10 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „პარი-პრეს ენტრანსიჟანი" დასავლეთ სახელმწიფოთა სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირთან დაკავშირებით წერს: „საგარეო საქმეთა მინისტრებს გარს ახვევიან გერმანიის საკითხთა ექსპერტები. სხდომას ესწრება აგრეთვე სამი უმაღლესი კომისარი: მაკლიი, ფრანსუა-პონსე და რობერტსონი. თათბირს წინ უძღოდა აჩესონსა და შუმანის მოლაპარაკება.

სამი მინისტრის პირველი ამოცანაა განიხილონ გერმანიის თაობაზე ვაშინგტონის სამმხრივი შეთანხმების ტექსტის შეცვლის საკითხი, რათა იგი შეუგუონ შეცვლილ პირობებს გერმანიაში". გაზეთი აღნიშნავს, რომ აღძრულია აგრეთვე საკითხი, განგრძობილ იქნას თუ არა გერმანიის საწარმოთა დემონტაჟი.

ჟორჟ სორია ეხება სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირს და გაზეთ „სე სუარში" წერს: „როგორც მთავრობის მთელი პრესა აშკარად აღიარებს, ამ თათბირის მიზანია დასავლეთ გერმანიის მარიონეტული სახელმწიფო „ატლანტიკის სისტემაში" შეიყვანოს".

შემდეგ, ეხება რა აჩესონისა და შუმანის წინასწარ თათბირს, გაზეთი „სე სუარი" აცხადებს: „ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკელ მინისტრს თათბირის გახსნის წინ სურდა შუმანი უფრო დამთმობი გაეხადა და გაეხსენებინა მისი კარგად ცნობილი თეზისი „ევროპის თანამშრომლობის" შესახებ, სხვანაირად რომ ვთქვათ, კაპიტულაციის შესახებ".

თათბირის დღის წესრიგის გამო ჟორჟ სორია წერს: „დღის წესრიგის პირველი საკითხია „ევროპის საბჭოში" დასავლეთ გერმანიის შეყვანა. ეს საკითხი მალე „გადაიჭრება". აჩესონი მიაღებინებს თავის თვალსაზრისს, რომელსაც ამასთანავე მთლიანად იზიარებენ ბევინი და შუმანი. ბონის მარიონეტული მთავრობა შეყვანილ იქნება „ევროპის საკონსულტაციო ასამბლეაში". ამრიგად, „ევროპის ოჯახში" დასავლეთ გერმანიისთვის ადგილის მიცემის შემდეგ სამი მინისტრი გადავა დემონტაჟის შესახებ გაცილებით უფრო საჭოთირო საკითხის განხილვაზე. რაზეა ლაპარაკი ამ დარგში? არც მეტი და არც ნაკლები, ლაპარაკია იმაზე, რომ საფრანგეთის მთავრობა დაითანხმონ, რათა მან სრულიად და საბოლოოდ თქვას უარი გერმანული ქარხნების დემონტაჟის პროგრამაზე, რაც შემუშავებულია პოტსდამში, რის მეოხებითაც ჩვენს ქვეყანას, ისევე როგორც ჰიტლერული აგრესიის მსხვერპლ სხვა ქვეყნებს, გერმანიისაგან რეპარაციების ანგარიშში უნდა მიეღო სამრეწველო მოწყობილობა.

მეორე საკითხი, რომელიც აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, ოფიციალურად იქნება „რურის საერთაშორისო ორგანოს რწმუნებათა გავრცელება დასავლეთ ევროპის სხვა სამრეწველო რაიონებზე". აჩესონს სურს რურის საერთაშორისო ორგანოს კონტროლში მოაქციოს ჩვენი ლოტარინგიის აუზი. რამდენადაც რურის საერთაშორისო ორგანო ნამდვილად ისეთი ორგანოა, სადაც ამერიკელები ბატონობენ და სადაც დასავლეთ გერმანიის გერმანელებს, ხოლო მათ შორის თვალსაჩინო ნაციესტებს, გადამწყვეტი ხმა აქვთ, გასაგები ხდება, თუ რისი გაკეთება სურს აჩესონს. როგორც ჩანს, ლოტარინგია ახლო მომავალში რურის კონტროლში აღმოჩნდება და, ამრიგად, ჩვენი ქვეყანა დაკარგავს ერთ-ერთ თავის ყველაზე ძველ პროვინციას. მაშასადამე, აჩესონის მხარდაჭერის მეოხებით ოცნება, რომელსაც ელლიავებოდნენ ბისმარკი, ვილჰელმ II და ჰიტლერი, გერმანიისათვის რეალურ სახეს იღებს".

ეს ისეთი პროექტებია,—წერს დასასრულ „სე სუარი", რომლებსაც უყოყმანოდ ვახასიათებთ როგორც საშინელ გეგმას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაუკავშირონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების გიგანტურ მოქმედებას.

პარიზი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგანგებო ეუწყება, 10 ნოემბერს ღამით დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ თათბირი ძირითადად გერმანიის საკითხს მიეძღვნა.

„საგარეო საქმეთა მინისტრებმა, — ნათქვამია კომუნიკეში, — კვლავ დაადასტურეს თავიანთი პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრული იყო საოკუპაციო სტატუტით", სხვანაირად რომ ითქვას, პოლიტიკა გერმანიის გათიშვისა და ბონის მარიონეტული მთავრობის გამგებლობაში მყოფი დასავლეთ გერმანიის გადაქცევისა აგრესიული იმპერიალისტური გეგმების განხორციელების პლაცდარმად.

შემდეგ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ „მინისტრებს საჭიროდ მიაჩნიათ მხარი დაუჭირონ ევროპის თანასაზოგადოებაში გერმანელი ხალხის შეყვანას და ხელი შეუწყონ ამას", ე. ი. დასავლეთი გერმანია შეიყვანონ აგრესიულ კავშირებში, რომლებიც შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით.

პარიზი, 11 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის მიმომხილველი ჟანლარი კომენტარს უკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის კომუნიკეს და წერს, რომ „გერმანიის საკითხის სამხედრო მხარე, როგორც ჩანს, აგრეთვე შეადგენდა განხილვის საგანს".

მიმომხილველი წერს, რომ „ჩინეთისა და იუგოსლავიის საკითხებს მხოლოდ „შეეხნენ" სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირზე, მაგრამ არსებითად არ განუხილავთ".

მაგუღობს ამერიკის შეერთებული შტატების მუნიციპალური ორგანოების არჩევნებში კომუნისტი კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში კომუნისტმა კანდიდატებმა ხმის მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღეს. კლევლენდიდან მიღებული ცნობებით, კლევლენდის გაზთლების საბჭოს წევრობის კომუნისტმა კანდიდატმა ანტონი კრჩმარეკმა 57 ათასამდე ხმა მიიღო. „დეილი უორკერი" წერს, რომ, თუმცა კრჩმარეკმა ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა ყველა მოლოდინს აჭარბებს. ბოსტონში განათლების საბჭოს წევრობის კანდიდატმა კომუნისტურმა პარტიისაგან ოტის ჰედმა მიიღო 15 ათასზე მეტი ხმა, მაშინ როცა ორი წლის წინათ მას მისცეს 12.000 ხმა. აკრონში (ოჰაიოს შტატი) განათლების საბჭოს წევრობის კომუნისტმა კანდიდატმა ბერნარდ მარქსმა მიიღო 7.500-მდე ხმა — მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე ოდესმე აკრონში რომელმე კომუნისტ კანდიდატს მიუღია.

თურქეთის მოსახლეობას შიმშილი მოელის

ანკარა, 11 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთ „ზაფერის" ცნობით, მუგდის ვილაეთის დეპუტატმა, რომელმაც თურქეთის შავი ზღვის სანაპირო რაიონები შემოიარა, მეჯლისში მთავრობას მისცა შეკითხვა, რომელშიც ნათქვამია, რომ მოსავალი სიმინდისა, რაც ამ რაიონების მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია, ხანგრძლივი წვიმების გამო წელს ძალიან ცუდი იყო. ასეთმა მდგომარეობამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში და სხვა რაიონებში მცხოვრებთა გადასახლების მიზეზიც კი გახდა. თუ მთავრობა, ნათქვამია შეკითხვაში, დროზე არ მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, შიმშილი და სიღატაკე ამ რაიონებში გარდუვალია.

სამეცნიერო ცხოვრე

15-19 ნოემბერს, შედგება საერთაშორისო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხებისადმი.

სესიის მუშაობაში ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ერევნის და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენელნი.

მოხსენებებს წაიკითხავენ:

15 ნოემბერს 20 საათზე—ა. შანიძე—შესავალი სიტყვა, გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, ი. ჯაფნინა—ახალი ყოფა გორის რაიონის სოფელ თორტაზის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში;

16 ნოემბერს 11 საათზე—მ. კოსვენი (მოსკოვი)—პატრონიმიის პრობლემა და გვარის სტრუქტურა, ზ. ნიკოლსკაია (მოსკოვი)—დარგოული კოლმეურნეობის ეთნოგრაფიული აღწერილობა, ლ. ლავროვი (ლენინგრადი)—სვანები ჩრდილო კავკასიაში XIX საუკუნემდე;

16 ნოემბერს 20 საათზე—ვ. აბაევი (ლენინგრადი)—ზოგიერთი ძველი ოსური დღეობის სახელწოდების შესახებ, ე. კარაპეტიანი (ერევანი) —ურავდი სომხურ ქორწინებაში და მისი სოციალურ-ეკონომიური ფესვები, მ. ატაკიშიევა (ბაქო)—აზერბაიჯანული ხალხური დგამ-ჟურნელი;

17 ნოემბერს 11 საათზე—ა. რობაქიძე—„ცხენბურთი" (ქართული ცხენოსნური სპორტის ერთი სახეობის აღდგენის ცდა), ვ. ელიშელი—ხევსურული „ცხენნი"—ქართული ცხენოსნური სპორტის სახეების ჩვენება დელისის იპოდრომზე;

18 ნოემბერს 11 საათზე—გ. ჩიტაია—მიწათმოქმედების სისტემები და სახვნელი იარაღები საქართველოში, მ. გეგეშიძე—ქართულ-ხალხური ხაზად საშუალებათა ზოგიერთი სახეობის შესახებ, ს. ბედუკაძე—არაგვის ხეობის ღვარიანი წისქვილები, ზ. გაგლოევა (სტალინირი)—მასალები აგრარული კულტის ნაშთების შესახებ ჯავის რაიონში; 18 ნოემბერს 20 საათზე—რ. ხარაძე—ერთობის სახლის სტრუქტურა ქართლში, ვ. ბდოიანი (ერევანი)—გუთანთან დაკავშირებული ზოგიერთი მაგიური მოქმედება, ა. ავდალი (ერევანი)—ქურთების ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა საბჭოთა პერიოდში;

19 ნოემბერს 11 საათზე—ვ. ბარდაველიძე—ძველი ქართული პანთეონის მთავარი ღვთაება, ლ. მელიქსეთ-ბეგი — ქართული ეთნოგრაფიის საკითხები ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის სომხურ წყაროებში, ზ. კილჩევსკაია (ბაქო)—აზერბაიჯანული ნაციონალური ტანსაცმელი ყარაბაღში, 19 ნოემბერს 20 საათზე—ლ. ლავროვი (ლენინგრადი)—საბჭოური კულტურა და ყოფა ლაკებში, შ. ინალ-იფა (სოხუმი)—ახალი ყოფა გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

თეატრებში

18 ნოემბერს: ოპერისა და ბალეტის—„სეველიელი დალაქი" (დილით), „ეიზელი" და „ყივჩალთა ბანაკი" (საღამოს, 7 ან. მესამე სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის**—„გამარჯვებულთა ღიმილი" (დილით და საღამოს, მე-13 ან. პირველი სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ხარატაანთ კერა" (დღისით), „დ. კლდიაშვილის პიესები" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—„ბედნიერება" (დილით), „ყოველთვის ყველიერი როდია" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—„ჩემი გიუზელი" (დილით), „სამთა სიყვარული" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„საგანგებო დავალება" (17 ან. 12 ს.), „კომბლე" (53 ან. 7 ს.).

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება ორშაბათს, 14 ნოემბერს საღამოს 8 საათზე აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) მართავს საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ **მ. საყაშვილის** ლექციას თემაზე: **„ფსიქოთერაპია და მისი მნიშვნელობა".**

ბილეთები იყიდება.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს **„გლავქიმსბიტის" საქართველოს კანტორის** საცალო-საჩაენებელ მაღაზიებში: თბილისი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, № 1 (ყოფილი ამიერკავკასიის ფედერაციის ქუჩა), ბათუმი, სტალინის სახელობის პროსპექტი, № 4, — **მუდამ იყიდება:**

მინერალური სასუქი: სპეციალური ტუკის ნარევი, სუპერფოსფატი, სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი: შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი;

მოსავლიანობის გასადიდებელი და უთესლო ტომატის მოყვანის საშუალებანი;

მარილმჟავა (ტექნიკური, 30 პროცენტიანი);

საპმლის ძირის ესენცია;

აკუმულატორული მაგარი 93-პროცენტიანი გოგირდმჟავა;

ნიშადურის ფხვნილი, ტექნიკური ბორაკი, აჯასები, ნიშადურის სპირტი;

ფოტოემბიკალები: სულფიტი, ჰიპოსულფიტი, გამომჩენი;

ანილინის საღებავები ოჯახში სახმარად (სხვადასხვა ფერისა);

სრესილი ზეთიანი საღებავები, სპირტის ლაქები და საპრიალებელი, სამხატვრო საღებავები ტუბებით და წონით, გუაშის, ტემპერის, აკვარელისა;

ქიმიური საქონელი (სარეცხავი საშუალებანი და სხვა საოჯახო საჭიროებისთვის)

პლასტმასისა და ცელულოიდის ნაწარმი და სათამაშოები;

ქალის პლაშჩი პლასტიკატისა;

საპლაშჩე აფსკიანი პლასტიკატი (საოჯახო მუშამბა);

ბუზის, ხოჭოსა და სხვა პარაზიტების მოსასპობი საშუალებანი (დუსტ);

დდტ, სილფტოკი, ანტიპარაზიტი, დეზისიკტილი.

„გლავქიმსბიტის" საქართველოს კანტორა

ორი წლისთავი გაზეთ „მეკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!" პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან

ბუქარესტი, 11 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „სკინტეია" აღნიშნავს გაზეთ „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!" პირველი ნომრის გამოსვლის ორი წლისთავს. ეს გაზეთი, წერს „სკინტეია", მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ბრძოლისუნარიანობის, დიდი ბოლშევიკური პრინციპულობის მაგალითია, კომუნიზმის იდეების მეზნებარე პროპაგანდის მაგალითია.

მოქალაქე **პავლე სტეფანეს-ძე მურადოვმა,** მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 49, აღძრა საქმე სოფ. ენისელში (ყვარლის რაიონი) მცხოვრებ მოქალაქე **არუსიაკ დავითის ასულ ხითარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ტატიანა სერგის ასულმა ბოგატკომ,** მცხოვრებმა საქართველოს სამხედრო გზა № 19, აღძრა საქმე ხუდადოვის ქ. № 39 მცხოვრებ მოქალაქე **ნინელ ალექსანდრეს-ძე ჩარელიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ილია, შვილები გივი, ენრი, ცოტნე, ვახტანგ, დავით, შვილიშვილები გურამ, ნინული იუწყებიან **ნინო მელიტონის ასულ შარაშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-XI, 7 ს. დაკრძალვა 15-XI, 4 ს. ბრძოლის, 62.

მეუღლე ცაცა, შვილი ლევან იუწყებიან **ნიკოლოზ (კოლია) ზაქარიას-ძე პაპავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 15-XI, 4 ს. ზოვლეთის, 29 (საბურთალო).

სიმონ, მიხეილ, გიორგი, მარიამ, ნინო, რიმა, ბაბუალა, ელენე, ლინა აბესაძეები იუწყებიან ბიძის **ვიქტორ ალფეზის-ძე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI, ზ